

ციტრუსების საოთახო კულტურის განვითარება-საიმედო რეზერვი დიეტურ-სამკურნალო ხილის მისაღებად

ზურაბ ზუკია -სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ციტრუსოვნები, ლიმონი, საოთახო კულტურა, სამკურნალო ხილი.

რეზერვატი

ნაშრომში განხილულია საკითხები, დაკავშირებული ციტრუსოვნების მოვლა-მოყვანისა საოთახო პირობებში.

დასაბუთებულია ლიმონის მცენარის მიზანშეწონილობა საოთახო კულტურისათვის. ახსნილია მიზეზები, რამაც განაპირობა საოთახო კულტურის სახით ლიმონის შეზღუდულად გავრცელება.

გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ციტრუსების საოთახო კულტურის განვითარება მცირედი, მაგრამ მაინც, გარკვეული რეზერვია ამ ძვირფას მცენარეთა ნაყოფის წარმოების არეალის გაფართოებისათვის, ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში მათი ნაყოფის უკეთ ჩაყენებისათვის.

შესავალი. ციტრუსოვანთა დიდ მნიშვნელობაზე სოფლის მეურნეობაში და მსოფლიო ეკონომიკაში მიუთითებს მათი ფართო გავრცელება მსოფლიოში და ნაყოფის წარმოების მასშტაბი.

მეციტრუსეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი და რენტაბელური დარგია. სუბტროპიკულ მეურნეობაში, ჩაის კულტურის შემდეგ, მას უჭირავს წამყვანი ადგილი და ფართობის ერთეულიდან მოგების მიღების მაჩვენებლით დიდად სჯობს მას.

ცნობილია ისიც, რომ ამ ძვირფასი კულტურების გავრცელება ლიმიტირებულია მათი დაბალი ყინვაგამძლეობის გამო. მათი სრულფასოვანი გამოზამთრების ღონისძიებები დაკავშირებულია კაპიტალურ დანახარჯებთან, რომლის გაწევაც ზოგჯერ, ძალზე ძნელიცაა.

არის ლიტერატურაში მინიშნებანი იმის შესახებ, რომ ციტრუსოვნებს საკმაო ხანია იყენებენ დეკორაციული დანიშნულებით, ოთახის მოსართავადაც. თუკი „ამგვარ ამოცანას დაუვსახავთ მცენარეს, მაშინ უპრიანია მას დაუვსახოთ მიზნად ნაყოფის მოცემაც და შევარჩიოთ ისეთი ჯიში ციტრუსოვანი მცენარისა, რომელიც ნაყოფმსხმოიარე იქნება.

მცენარის შესარჩევად საოთახო კულტურისათვის საჭიროა გათვალისწინება ციტრუსოვანთა ბიოლოგიური თავისებურებებისა. ამ მიზნით ყველაზე მისაღებია ლიმონი -Citrus Limon Burm.

ლიმონის საოთახო კულტურის ფართოდ გავრცელებას ხელს უშლიდა ისეთი მიზეზები, როგორცაა საოთახო კულტურისათვის საჭირო აგროტექნიკის ცოდნის დაბალი დონე. ზოგჯერ, პირველი ცდიდან მიღებული მწირი შედეგიც შესაძლებელია გამხდარიყო ამგვარი კულტურის გავრცელების შემზღუდავი ფაქტორი.

დამოკიდებულებით მცენარის ჯიშისა, მოვლა- მოყვანის დონის და სპეციალისტის თუ დაინტერესებული ადამიანის კვალიფიკაციისაგან-საოთახო პირობებში შესაძლებელია ერთი მცენარისაგან მივიღოთ 35-50 ცალი ნაყოფი (ზოგჯერ 250-300 ცალამდეც კი).

ნერგს, რომელიც უნდა გამოვიყენოთ საოთახო კულტურისათვის, წაეყენება მოთხოვნები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია საბოლოო შედეგის მისაღწევად. ნერგი საკუთარფესვიანი უნდა იყოს (საძირის გავლენის გამოსარიცხად), რომლისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს კარგად შეფოთვლა. მისაღებია ზრდის დაბალი ენერჯის მქონე ჯიშის ნერგი.

ჩვენს სუბტროპიკებში ლიმონის მთავარი საწარმოო ჯიშია-მეიერის ლიმონი (სხვებთან შედარებით მალსეკო და ყინვაგამძლე). ამ ჯიშის ლიმონის ნერგები შესაძლებელია გამოვიყენოთ საოთახო კულტურისათვის. საოთახო კულტურისათვის მცენარის ნერგი უნდა იყოს დაბალი 15-20 სმ სიმაღლისა და პირველი რიგის ჩონჩხის 2-4 ცალი ტოტით. სანერგეში დაწყებულ ფორმირებას

ვარჯისას, აგრძელებენ მათი კასრში გადარგვის შემდგომაც-მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

რაც შეეხება მსხმოიარობას, ის მიზანშეწონილია მეოთხე რიგის ტოტების ფორმირების შემდეგ. საჭიროა მივალწიოთ ვარჯის ჰარმონიულად ფორმირებას, მოსალოდნელი ეფექტის გათვალისწინებით.

ჭურჭლის შერჩევა ლიმონის საოთახო კულტურისათვის ძალზე საპასუხისმგებლოა და გასათვლისწინებელია მრავალი ნიუანსი. მისი ზომა და მოცულობა სხვადასხვაა, დამოკიდებულებით მცენარის ასკისაგან. ერთწლიანი მცენარისათვის საჭირო ჭურჭელი უნდა იყოს 25-30 სმ დიამეტრის. ორი და სამწლიანი ნერგებისათვის-25-35სმ, 4-10 წლიანი მცენარისათვის საჭირო ჭურჭლის დიამეტრი მერყეობს 35-60 სმ-მდე. დასაშვებია ჭურჭლის დიამეტრების მეტ-ნაკლები ვარირებაც, გათვალისწინებით და გამომდინარე ადგილობრივი შესაძლებლობიდან.

გარკვეული მოთხოვნებია გასათვალისწინებელი მცენარისათვის საჭირო სუბსტრატის შესარჩევად. იგი მაქსიმალურად უნდა აკმაყოფილებდეს მცენარის მოთხოვნებს საკვებ ელემენტებზე და უნდა იყოს კარგი სტრუქტურის, ჰაერგამტარი. კომბინაციები მრავალგვარია, რისგანაც უნდა შედგებოდეს სუბსტრატი, მაგრამ ძირითადია, მაინც, შემადგენლობაში ასეთი რეცეპტის გათვალისწინება: კორდის მიწა, გადამწვარი ნაკელი, ნეშომპალა და სილის გარკვეული პორცია. ჩამონათვალის წილობრივი რაოდენობა ნაზავში დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე.

მცენარის გამოკვება მიზანშეწონილია მინერალური სასუქის ხსნართ-კალიუმის გვარჯილის 0,5%-იანი ხსნართ-10-12 დღეში ერთხელ და სუპერფოსფატის იგივე პროცენტული ხსნართ-თვეში 2-ჯერ.

მცენარეთა მოსარწყავად გამოიყენება ოთახის ტემპერატურის წყალი. აკრძალულია ქლორირებული წყლის გამოყენება. ურჩევნ აგრეთვე მცენარეთა განზანავს ზაფხულში- ერთხელ. ხოლო ზამთარში-2-3 ჯერ კვირაში. ღონისძიების ამოცანაა ფოტოსინთეტიკური აქტივობის პროცესის გაძლერება.

გარემოს ტემპერატურის ხელსაყრელობისას საჭიროა მცენარის გატანა პირდაპირი განათების პირობებში, თანდათან-პირდაპირ განათებასთან თანდათან შეჩვევის ანგარიშით.

გატანის შემდეგ საჭიროა მარლით დაჩრდილვა და უნდა გაიხსნას მხოლოდ ღრუბლიან ამინდში.

ოთახის პირობებში ნაყოფის სასარგებლო გამონასკვის გაზრდისათვის საჭიროა ხელოვნური დამტვერიანების ჩატარება, მიღებული საერთო მეთოდიკით.

მოვლითი ღონისძიებები იგივეა და ჩვეულებრივისაგან პრინციპული სხვაობა არაა. მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვის ღონისძიებები პერმანენტულად უნდა განხორციელდეს.

ჩამოთვლილი ღონისძიებების ზუსტად ჩატარება უზრუნველყოფს ლიმონის მცენარის კარგ მოსავალს და გარკვეულ როლს შეასრულებს კულტურის არეალის გაფართოებაში, უფრო გააფართოებს მცენარის ჩაყენებას ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში.

დასკვნა. ციტრუსების საოთახო კულტურის განვითარება მცირედი, მაგრამ მაინც გარკვეული რეზერვია ამ ძვირფასი მცენარეების ნაყოფის წარმოების არეალის გაფართოებისა, ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში მათი ნაყოფის უკეთ ჩაყენებისათვის.

პროპაგანდით საოთახო პირობებში ციტრუსოვნების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიისა, მივალწევთ ადამიანების მეტ ჩართულობას ამ მეტად სასარგებლო საქმეში.

ლიტერატურა

1. ზურაბ ბუკია, შოთა ლამპარაძე-მცენარის მორფოლოგიის, ბიოლოგიისა და სელექციის ზოგიერთი საკითხი.-გამომცემლობა „ალიონი“, 2011 წელი,.-420 გვ.
2. მისურაძე ნ.ი.-ციტრუსოვანთა სელექცია.-მცენარეთა სელექციის გენეტიკური საფუძვლები, გამომცემლობა „ნაუკა“, მოსკოვი, 1971 წელი.
3. ჯობავა ტ., ქობალია ვ.-ლიმონ დიოსკურიას პონცირუს ტრიფოლიატასთან თავისუფალი დამტვერიანებით მირებულ თაობასი ფორმათა წარმოსობის შესწავლი შედეგები.- სახელმწიფო სას. სამ. უნივერსიტეტის შრომათა კრებული, 2008 წელი, ტ.1, N1(42).

The indoor development of citrus – safe and Reliable reserve for getting diet and curing fruit

Zurab Bukia- Academic doctor of Agriculture.

Key words: citrus, lemon, indoor culture, curing fruit

Abstract

The issues have been discussed that are related to citrus in indoor condition.

The feasibility of indoor citrus has been stated. The reasons why indoors' culture-like lemon was conditioned to spread in a limited way have been explained.

The idea has been said that development of indoors citrus culture is somehow a certain kind of reserve to produce this precious plant to widen area to keep a human being healthy.